

## № 8 ერველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი № 8

ღლიური ხელის მომზადეთ:

პირველ პრემიათ მიეცებათ: სტეპანაკის მოთხრობა „სახლი ვოლგის ნაპირზე“.

მეორე პრემიათ: ირეთელის ასალი ოთხ-მოქმედებანი მიესა „სიცილი“.

პირველი წიგნი დაურიგდებათ თებერვლის დამლევს. მეორე — აგვისტოს პირველ რიცხვებში, ვინც თებერვლის გასვლაზე სრულად შემოიტანს მთელი წლის ფულს ორივე წიგნს მიიღებს.

**შოთარის 8:** კ. გოგოლაძე — ლექტინები. დ. ელპიტიშვილი — დამსხვერული ოცნება. იასამანი — ლექტინები. ჩემი სამშობლო. ა. ლომთათიძე — მოთხ. სახრჩობელასექნ. ბ გელა — ლექტინები. შენსკენ მოვილტვერ. შვარცი — უაღა რამ ბელუგნებაზე. მალა-ქიაშვილი — ლექტინები. თამრო ნაცელიშვილი — დრამა. მალაროს მუშა (თარგმანი გერმანულიდან). გ. ჭამლეთელი — ლექტინები. სიტყვა. დემონი — ლექტინები. დედის საულავზე. თურდოსპირელი — ლექტინები. დაჭინა ყვავილი. ინეთელი — მოთხ. ობობა.

საუმჯობესოდ მოწერილი

ს ტ ა მ ბ ა „გევდვითი  
© საქმე“ ⑩

ბ. კილაძისა თბილისში

ველიამინოვის ქ., № 6

ასრულებს უკველგვარ სასტამბო სააქტებს  
სუფთად და იაფად.

მ მ მ ა მ კ ლ ი

გამოდის ყოველ დღე, გარდა კვირა უქმის მეორე დღეებისა. გასეთი ღირს: როგორც თფილისში ისე თფილის გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან. ქალაქ გარეთ: 3 თვით — 2 მან. 50 კ. 1 თვით — 90 კ. თფილისში: 3 თვით — 2 მან.

20 კ. 1 თვით — 80 კაბ.

ფული შემდეგი აღრესით უნდა გამოიგზავნოს:  
თიფლის თიპოგრაფია „შრომა“, კალი-  
страту Константиновицу ჭულაძე.



# სტილი

№ 8

ქართველი, 31 იანვარი გოგიან-კვირიეული სალიტერატურო ჟურნალი

1910 წ.

კ. გოგოლაძე — ლექ. ფიქრები. დ. ელპეტიშვილი — მთხ. დაშისხვრეული ოცნება, იასამანი — ლექ. ჩემი საშობლო. ა. ლომთათიძე — მთხ. სახელმძღვანელები. ბ. გელა — ლექ. შენსებნ შეფილტვი. შვარცი — ცოტა რა სელონებაზე. მალაქიაშვილი — ლექ. \* \* \*. თამრო ნაცვლიშვილი — დრამა. მადარის შეს (თარგმანი გერმანულიდან) ნ. ზომლეთელი — ლექ. სიტყვა. დემონი — ლექ. დედის საფლავზე. თურდოსპირელი — ლექ. დაჭინა უფლილი. ირეთელი — მოთხ. „ობობა“.

ალბათ მის გულშიც დაბუდდა  
ფიქრები... შავი ფიქრები!..

## ფიქრები.

გლოვისა ზარი დამძახის,  
ფრთხები დაეჭრა ოცნებას,  
და სევდა შემოეპარა  
სულს და გულს, დაღლილ გონებას...  
გუსმენ და ვერ-რა ვუწამლე  
ამდენ კვნესას და გოდებას,  
ცხოვრების სიღუბჭირესა,  
გულზე სახმილის მოდებას.

ზეამხა — ნალველმა გაუღენთა  
მწუხარე ჩანგის სიმები,  
ზაჟულდა გულის გიმობობი,  
ცრემლის ამშრობა, სხივები...,

სურს და ვერ უთქვაშს, ველია,  
საინხარულო სიტყვები,  
შავ ნისლათ შემობურვია  
ფიქრები, შავი ფიქრები!..

მიდუმებულა ბუნება,  
სიოც გამქრალა სადღაცა,  
ძირს სიჩუმეა სამარის:  
ჩამოლვერებილა მაღლა ცა.

მთებს ჩაძინიათ ღრმა ძილით, —  
ცაში რო უკრავთ წვერები, —  
მთებს სძინავთ მთებსა ბუმბერაზო!...  
არ ჩაძინებს სერები?!...  
ზღვაცა სდუმს. სძინავს იმსაც,  
არ მოსჩანს მასზე ზეირთები...

ყველგან დუმილი სამარის,  
გამწარებული გულისა,  
სევდა-ვარამის მომფენი  
მომკვლელი სიხარულის!


და ამ დუმილში — ქეიფი,  
ხარხარი ბოროტ სულისა,  
ქვეყნად სიავის მეუფის,  
შემქნელის ხალხის წყლულისა!...

გული შებოჭა სევდამა.,.  
ბატონობს შავი ფიქრები...  
და მწუხარების ჰანგზე მდერს  
ობოლი ჩანგის სიმები!...

კ. გოგოლაძე,

## დამსხვრეული ოცნება.

მაისის უქმე დღე არის. გრილი ნიავი ნაზათ ეალერსება სოფლის მიდამოს. ფოთლების შრიალი ოდნავ აკრთობს მოჭიკვიკე ჩიტუნებს, რომლებიც მოუსვერათ დაცუნცრუკობენ, ხტიან ტოტიდან ტოტზე; დაეძებენ სარჩის და გამაძლარნი, ჰაწია ფეხებით ნისკარტს იწმენდავენ; ნისკარტით გულზე ბურდლას ისწორებენ და ფრთხების შეშმუშნით, თითქოს საარშიყოთ, სატრეფოს მოლოდინში, თავს ილამაზებენ.



რკინის გზის სადგურის პატარა მოედანზე სოფლელებს თავი მოეყარა. ჯგუფ-ჯგუფათ კამათობდენ, საუბრობდენ, ზოგი ახალგაზრდა გაზეთს კითხულობდა და სხვები სულ-განაბული, მოკძრალებით ყურს უგდებდენ. როცა ახალ ამბავს გაიგებდენ, ყველას სიამოვნების ღიმი გადაჰქავდა. მოხუცებულები ულვაშებში ჩაიღიმებდენ, თავის ქრეით, ზეცას თვალ აპყრობით იტყოდენ: —დეილოცა ერთობა! რაც მაგი შემოვიდა, ცოტა სული მევითქვით, წელში გავიმართეთ!!!. ახალგაზდების ხტომა, თამაშ: ხომ დასასრული არ ქონდა, ყველას ერთი ეკერა პირზე: “გაუმარჯოს ერთობას, ძმობა-ამხანაგობას!” მოქროდენ და გაპკოდენ, და მათი წერიალა ხმა შორს, მიღამოეპში იფანტებოდა.

— რა კარგია სიცოცხლე! რა მშვენიერი, თვალ წარმტაცია ეს დიადი ბუნება, მაისის გაბრწყინვებული დღე, ზღვა ხალხი ერთათ ჭრებული, ერთი ჭირ-ვარამით, ლხენა-სიტქბოებით გამსჭვალული, ერთ აზრ-ოცნებით გარემოცული! დეე, სულ ასე იყოს! ან რატომ არ უნდა იყოს? ვის უშლის, ვის აწუხებს?... დეე სიყვარულმა თავისუფლათ გაშალოს მძლავრი ფრთხები და გულში ჩაიხუცოს მეორე, მისებრ თავისუფალი, მოსიყვარულე არსება! რათ ტირის მამა? ლოყებს რატომ იკაწრავს მშობელი დედა?!.. რა კარგია სიცოცხლე, რა საყვარელია ყოფნა, მარა..., ისევე ყოფნა არის, რომ წინ ერობება სიტქბოებას; ბოროტებაა, რომ ხელს უშლის სიკეთეს; შურია, რომ ჰელავს სიყვარულს; ადამიანია, რომ დედას ერთათ-ერთ ნუგეშს ჩელიდან აცლის და სატრფოს მკერდს ჩაკანებულ, ჩაქსოვილ სიყვარულს იგლეჯს, სტანჯავს და აწამებს...

შორს, ხანგრძლივიათ დაიწივლა მატარებელმა. არახახდა, აქლოშინდა ნელ-ნელა უკლო სელას, ერთხელ კიდევ დაიწივლა და ხანგრძლივი შრომისაგან მოქანცულ აღამიანივით, სადგურში შემოსრიალდა, და გაჩერდა. ვაგონებში სხვა და სხვა ფერ ტანისამოსში გამოწყობილი აღამიანები იჩეოდენ. გარეთ ვაგონის კარები და ბაქანზე ჩამოვიდენ მგზავრები... ადამიანები! ძმები, დები, მშობლები. სადგურის უფროსი ვაზაციცებით, მოუსვენრათ დარბოდა იქით-აქეთ, ხელჭვეით განკარგულება—ბრძნებას აძლევდა.

მოვციანებით ვაგონიდან გაღმოვიდა შუა ტანის, ულვაშებ გაწევილი, წვერ მოპარსული, შუა ხნის აფიცერი, და ხანგრძლივ ელაპარაკა სადგურის უფროსს, რომელიც ქუდთან მარ-

ჯვენა ხელ მიდებული (პადკოზირიოკ), აროგორც სალდათი ისე გაციმულიყო აფიცრის წინაშე; ბაგები უთროთოლავდა, სხეული მისი კანკალებდა... მარა რატომ, რისოვის, ან ვინ აძულებდა ასე მოქცეულიყო—დარჩა გამოურკვეველი; ხოლო, და ბოლოს—აფიცერს შერცხა, თუ სადგურის უფროსის ხნოვანებამ (პალარა ერია) გავლენა იქნია, ქუდზე მიდებული ხელი ჩამოალებია, მოწიწებით ხელი ჩართოთვა და ისევ ვაგონში შებრუნდა. იქ მან შესაფერი ბრძანება გასცა და ვაგონებიდან გაღმოვიდა ასოდე სალდათა თავიანთ ბარგი-ბარხანით,

სადგურის უფროსმა ჯარისთვის რკინის გზის ერთი სარაია დაცალა, როტის უფროსს და ორი მისი თანაშემწე ახალგაზდა ოფიცრებს თავის სახლში დარბაზი დაუთმო. ასე დაბინავდა ქალაქიდან ჩამოსული, სოფლებში მღელვარების გამო, მხედრობა, ანუ ეკზეკუცია.

იღილომძრივი მღელელ-თავალ-აზნაურობა სიხარულში იყო, რაღან აფიცრებს დაახლოვებით „დაუზნაკომდენ“ და დღე მუდამ ერთად იყვნენ. ერთათ ქეიფობდენ და ერთად სეირნობდენ. მამა დავითი წირვას აფიცრების მოსვლამდე არ დაიწყებდა და ჯვარზე მთხვევის დროს სეფისკვერს მიართმევდა აფიცრებს,—უფროს ყოველთვის, მის თანაშემწებებს-კი ხანდის-ხან... აფიცრებს ყველას გადაკვრა უყვარდა, თავალ-აზნაურებსაც და ასე გული გულს შეხვდა, სული სულს.

რა იყო ამ ჯარის დანიშნულება, რას შვრებოდენ, ვის უკიდისენ ან რა უნდოდათ —სოფლელებმა არ იცოლენ.

\* \* \*

დიმიტრეს ნუცა ერთი წელია, რომ ქალაქში ერთ მღილარ ვაჭარან მოსამსახურეა იღვა. შვეილი მსხურებდა, თუ სხვა რამეს ჩადიოდა დიმიტრემ ეს არ იცოლა და მაინც და მაინც არც კითხულობდა; მას ოვეში 5—10 მან. უგზავნიდა ნუცა, კარგათ, ჯანმრთელობის იყო იცოლა და სხვა არაფერი აწუხებდა მამის.-ჟკიანი გოგოა, თავის თავს კი მოუარსო! — შვილი ხშირით წერილს სწერდა მშობლებს დაპირდებოდა სიკეთეს, ბეღნიერებას, ახალ ცხოვრებებს და კიდევ ბევრ რამებს, რაც დიმიტრეს და ეფრისინებს ყურს არ სმენოდა...

— ცოცხალი კაცი, ყველაფერს მოესწორობა რაც არ გინახავს იმას ნახავ და რაც გინახავს ველარ ნახავ! — იტყოდა დიმიტრე და... თავის მეგობარ სალდათ სტეფანეს ეპარქუსკებოდა.

ნუცა-კი, მთის თავისუფალ ჰაერზე აღზრდილი,

თავისუფლების შეყვარული, მმოძრავი, ცქრიალა, შევგრემანი სახის. მაყვლის ფერ თვალებიანი ნეტა-ჩების აღს ახვევდა, მისი სიყვარულით დამტკარს, მის მიერ შეყვარებულ არსებას; ნუკას გამო-მეტყველება შიშის მოკვრველი, სასტიკი იყო და უწინვლო-პრისნებით აღსავსე, და თუ მდაბალი გრძნობებით აღტყინებული, გულ ღვარძლიანი ადა-შიანი ქვენა აზრების განხორციელების საგნათ დაი-სხავდა მას, განა შეიძლება თავისუფლების, თავი-სუფალი შვილისთვას ხელი შეეხო უკეთუ ეს არ სურდა თვით თავისუფლებას, თუ მისკენ არ მიისწ-რაფებოდა გონიერი, გრძნობით ატოკებული თავი-სუფალი ბუნების შვილი ქალი?!...

ქალაქელი ვაჭირი ანუ, როგორც ნუკა სწერ-და მშობლებს, ბურეუა, დიდათ მაღლაერი იყო ნუ-კა ს სამსახურით. უშვილოდაპირდა შვილიათ იყვანას, მარა ნუკა არ იყო თანაბება, არ სურდა რაღან მას უკვე ყავდა მშობლები... ისინი უყვარდა და-თუ დღეს ამ ვაჭართან მსახურებდა, მხოლოდ როგორც მუშა სამუშევარის მიმცემთან, როგორც დაჭირავე-ბული მქირავებელთან.

ნუკამ იციდა თავისი საქმე. გაათავებდა სახლ-ში მუშაობას, მიალაგ-მოალაგებდა, მისწმენდ-მოსწ-მენდა თახებს. ოდნავათ, აჩარებით გისწორებ-და გაიწმენდა უბრალო სადა კაბას, “რუბაშეს” და როკა ბატონ-ქალბატონს სადილის შემდევ დაქინებოდა, ნუკა თავდალუნული, ფრთხი-ლათ ჩადიოდა მახლობელ სარდაფში. სადაც ამ წროს პაწია სტამბა თავის საქმეს განაგძობდა ვინ ქახალდებს სვეტებათ ხევდა და აწყობ-და, მეორე ბნელ, ნეტიან კუთხეში ასოებს კულავდა, მესამე ბეჭედს ასმიდა და დაბე-ჭილს ერთ აღაგას აწყობდა... ნუკა მუშაობის გათავების შემდევ ისევ „ხაზეინთან“ ბრუნდებოდა.

\*\*

სამზარეულოში ელექტრონის ზარმა რაკრაკი დაწყო. კიდევ, უფრო ხანგრძლივ და ძლიერათ. ნუკას ტკბილათ ეძინა, ეზარებოდა გამოლვიძება, უნდოდა მოსვენება განევრძო დაღლილ სხეულს. კიდევ უნდოდა ძილი, მაგრამ ბატონს არ ეძინა, მას არ უნდოდა, მას გულღვარძლიანს, თბილ ხალი-ხებით მორთულ მოკაზმულ ოთახში, კედელზე ჩამოკი-ლულ ტიტველა ადამიანთა სურათებს და ათას გვარ წირმოდგენა ოცნებას აეღაზღაზება მისი სხეულის ძალვები, იგი თრთოდა, გრძელ ფართო ჩბილ კუაოზე კოტრიალობდა ქშენა-ოხვრით, საბან გაღაღდებული გაბერილ მუცელს იურავებდა...

ზარის რაკრაკზე გამოლვიძებულმა ნუკამ გა-დაიცვა იუბკა, კოფთა, ხუჭუჭი თმა გაისწორა, თვალებზე წყალი შეისხა, მოიწმინდა პირი და შეა-ლო ოთახის კარი, მაგრამ შემკრთალი მოწყვეტით უკან გამოტრიალდა... გონება არეული ერთ ალა-გას ტრიალებდა, ბატონშა საბანი გაისწორა „მო-დი შვილო!“ - ს დაძახებით ნუკას შემოსვლა უბრძა-ნა. რის შემდეგაც ნუკამ შემკრთალ-დარცვენილი, აცანკახებულ სხეულით, გადმოკარკლულ თვალებით შეალო კარი და მკაცრათ შეეკითხა: რა გნებავს?

— რა მოვდის? ე შანგრე რამ გაგხადა? ვა, რა თურაშაულ ვაშლივით გაგწითლებია ეგ ლო-კები!.. მოდი ჩემო შვილო! ჩემო ნუკია — წაიღე, ბატინკუბი გასწმინდე..

— არა... ჰო, დაიცა... როგორი დარია? ხომ არ წვიმს? ქალბატონს არ გაულვიძნია?...

— დარი კარგია, სტინავს — ნუკა უპასუხებს და გადის.

— მოიცა შვილო!... რა ჯიუტი რამა ხარ, მო-დი ახლოს რა გითხრა... დღეს წადი და არუთი-ნას კარგი საკაბე შალი გამოართვით — უთხარ ჩემ მაგიერ — და პარტნიხას შეაკერვინე...

ეგ ტანისამოსი არ გივარგა... კიდევ რა გით-ხრა: რომელი სათია?... მამაშენი რას გწერს?... ბუნტზე ხომ არას ამბობს?...

— ბატონო, ხომ არ გაგიუდით! საათი მანდა გიდევს, სასოფთალი! წერილი არ მიმიღა... ბუნტი იწყება...

ბურეუას სიბრაზით სახე დაელმიჯა, მარა მა-ლე ისევ გაიღიმა: ბუნტი!... ჩირთ სნიმ!... მერ-ზავცი!...

— ჩემო შვილო!... მოიცა... მოიცა ის პიჯა-კი... ჰო, კარგი ერთი, გეყოფა... ჩემი შვილი არა ხარ?... ნუუ! თვარა მე ვიცი შენი... მოდი, მოდი ახლოს... ეს დახეულია, რატომ არ მოკერე გენაც...

ბატონშა ხელები მავრათ მოხვია ნუკას, შიიკრა ათროლებულ სხეულთან, ერთი კი ჩილოშნა ნუ-კას გაელვარებული თვალები... ნუკამ რაც ღონე ჰქონდა მაგრათ ჩარჭო კბილები მკლავში, დაიბ-ლვირა ბატონმა, საზარლიათ დაიწივლა ნუკამ და ამ ხრიალში ჰქონანგის ამარა მოხუცი, ქალბატონი ჟემოიჭრა ქმრის ოთახში. ბატონს წრელი ჩისთხლი-შა, ძალმე მიბეგვა ნუკა და სამუღამოთ გააგდო.

\*\*

აღარ ისმოდა როიალის გრიალი, ყელ მოღ-რებული ნაზი, სათუთი, ხელებ-ფუნთუშა არსების

წერიალა შმა აღარ დამლეროდა, ტრუობის კუპლე-  
ტებს. ქუჩების ორივე მხარეს ჩამწკრივებულ დიდ-  
რონი, რამოდენიმე სართულებიან სახლების ფანჯრე-  
ბზე ფარდა იყო ჩამოჭარებული. ზოგ სახლების  
ფანჯარა ნახევრათ გამოელოთ და თითო--ოროლა  
მცხოვრები ცნობის მოყვარეობით, შიშ ძრწოლვით  
გამოიყურებოდენ და „ბოჟე მოი! ჩტო ბუდეტ?!“. ის  
ერთი მეორეს ან თავის თავს, ეკითხებოდენ..

იქ, მაღლა ჩაქრა სასიცოცხლე. დაბლა, სარ-  
დაფის ახლოს ბუშები შეკრეფილიყვენ და დასტა-  
დასტათ ქვევიდან ამოტანილი ფურცლები მიჰქონ-  
დათ... სარდაფში სჩექფდა სიცოცხლე, ნუკა, ამხა-  
ნაგებში შხიარული და სიცოცხლით სავსე დაბზია-  
ლობდა, ფურცლებს ჰქონავდა დასტა-დასტათ და  
ესთ კუთხეში აწყობდა.

— ოლონდაც, რომ კარგია სიცოცხლე! სად  
არის ჯხლა ღმერთი აპალონი? რას ხედავს ამას მისი  
თვალები, და თუ ხედავს რათ სდუბს? ვინ იკის  
მოხიბლა მისთვის უცხო ხილმა; ჯერ არ ნახულ  
სურათმა! იქნებ გული შეექანა, მიატოვა საღმრთო  
ადგილი და დაბლა დაეშვა საკაცობრიო მიწაზე.

უკვე დაღამდა და სიწყნარემ და ბნელმა მო-  
იცო მშრომელი ქალაქი. შესწყდა სიცოცხლის ძარ-  
ღვის ცემა, დამნელდა ყოველივე, ჩაქრა ფარნებ  
ელეკტრონი... ხოლო დელეგატების მატარებლები  
წამ და უწუმ დასრიალობენ, ჰყვირიან, აბრიალებენ  
დიდრონ ელეკტრონის თვალებს, და წითელი  
ღრუშებით მოართული, ქშენით, მიჰქიან ქალაქი-  
დან სოფულა სამბობათ გასახრებულათ. ნუკა კი  
მატარებელში ზის და პატარა ჩემოდანით მაიჩქარის,  
თავის საშაბლო სოფელში. იგი გაგზავნეს გაფი-  
ცვების დაწყებისას...

დ. ელპიტიშვილი.

(დასასრული იქნება).

## ჩემი საშმიბლო.

არეს შევხდე გაძარცულს,  
მზე აღარ ეღიმებოდა,  
გლოვის რომ ნისლი თავს ეკრა,  
და თითქოს ეძინებოდა.  
მთვარის შერთალი სხივები  
მაღლიან ეფინებოდა.  
თითქოს გუშაგი ღამისა  
სინათლეს ეპირებოდა!  
იდუმალს ამბებს უსწილა,

ანდობდა, ებირებოდა!  
მაგრამ მანდილი გაშლილა  
შევდიდის დაუნდობარის,  
აღარ შევლიდა არესა  
შერთალი სხივები მთოვარის!  
ირგვლივ ისმოდა ღრიალი  
ნადირის, სისხლის მწოვარის,  
მეორე მხრით კი ყიუინი  
რაზმისა შეუპოვარის.

და გამიელვა აზრადა  
ბეღმა მშობელი არისა,  
ნაცნობ სურათთა მის მთების.  
ვარსკვლავების და მთვარისა  
იმედის სხივი დახსნისა  
მტრისაგან, დასამარისა,  
შემოძარცული სოფლების,  
მიღამო, არე-ჯარისა.  
ბრძოლის ყიუინა გმირული  
რაზმისა მეომარისა,  
მის საპასუხოთ სიმღერა  
მთანი, გორანი, ბარისა.  
ერთი ფიქრი და მიზანი  
ჩაგრულთა ყველა მხარისა!  
შენიშნა შავი წყვდიალი,  
მოსისხლე მხეცას ღრიალი,  
სამშობლოშიაც მსმენია  
მის დანანთ ცეცხლის ბრიალი  
არა ერთა ოჯახი  
მისაგან განატიალი.

თასამანი.

## სახრჩობეჭასკენ.

(გეგრაძელება იხ. „სხივი“ № 6).

სატუსალოშიც გაიგეს ტერორისტების შეპყრო-  
ბა და როცა იანსონი ჩვეულებრივათ შეექითხა  
ციხის დარაჯს, უკანასკენელმა მოულოდნელათ უც-  
ბათ, მედიდურათ უპასუხა:

— ეხლა კი ჩქარა.

უცქეროდა იანსონს წყნარათ და მედიდურათ  
და ეუბნებოდა:

— ახლა კი ჩქარა. ასე, ერთი კვირის შემდეგ,  
ალბათ:

გაფითრდა იანსონი, გადმოკარკლული თვალები აემღერა, მიიბნიდა თითქო ძილს აპირებსო და ლულლულით ჰკითხა:

— მეხუმრები?

— აქამდე სულს მაცლიდი და ახლა მეხუმრებიო გაიძახი. ჩვენში ხუმრობა არ იციან. ხუმრობა თქვენ გიყვართ, ჩვენში კი არ იციან ხუმრობა, — ლირსოვანებით უხხრა დარაჯმა და გაშორდა.

საღამომდე სულ გადხა იანსონი. დღემდე თუ ტყავი შემოტკეპნილი ქონდა ტანზე, ახლა სულ დაემანჭა, ზოგან თითქოს დაეჩუტა კიდეც. თვალები მთლათ მოუმძინარდა, მოძრაობა, მიხვრა-მოხვრა დაუდამბლავდა. თითქოს თვითეული განძრევა თავისა, ან თითებისა, ან ნაბიჯის გადადგმა ისეთი რთული და მძიმე რამ გამხდარიყოს, რაც დიდიხნის ჩაფიქრებასა და მოსაზრებას მოითხოვსო.

ლამრთ დაწვა, მაგრამ მიმძინარებული თვალები მთელ ლამეს ღია ქონდა.

— აა! — კმაყოფილებით უხხრა, მეორე დღეს, რომ ნახა იანსონი, დარაჯმა აქ შენ სამიკიტნო ხომ არ გეონია, ყმაწვილო.

დარაჯს საამური კმაყოფილების გრძნობა აღეცევდა სახეზე. ასეთ სიამოქნებას გრძნობს ხოლმე მეცნიერი, რომელსაც ერთხელ კიდევ კარგათ მოუვიდა თავისი მეცნიერული ცდა; გულდასმით და დაწვრილებით აათვალიერ-ჩათვალიერა დასჯილი თავიდან ფეხამდე ახლა კველაფერი რიგზე წავა: მაცდური დამარცხებულია, სატუსაღოსა და სიკვდილით დასჯის სიმშვიდე აღდგენილია — და მოხუცმა მოწყალებით, გულწრფელი სიბრალულითაც კი, ჰკითხა იანსონს:

— ნახავ ვინმეს თუ არა?

— რისთვის უნდა ვნახო?

— გამოსათხოვრათ. დედა გეყოლება, ან ქმა,

— მე ნუ ჩამომახჩობთ — ჩუმათ სთქვა იანსონმა და ალმაცერათ შეხედა დარაჯს. — არ მინდა.

დარაჯმაც შეხედა — დააქნია თავი.

საღამოს იანსონი დამშვიდღა ცოტათი. ისეთი ჩვეულებრივი დღე იყო, ისე ჩვეულებრივათ ანათებდა ღრუბლიანი ზამთრის ცა, ისე ჩვეულებრივ და-დიოდა და ლაპარაკობდა ვიღაც კარიღორში ისე ჩვეულებრივი და ბუნებრივი სუნი სდიოდა მეუკე კომბოსტოს შეზავებულ შექამანდს, რომ იანსონს აღარ ჯეროდა რომ სიკვდილით დასჯილენ. მაგრამ დაღამდა, იგი შეშმა შეიძყრო. წინათ ლამე იანსონისთვის უბრალო სიბრელე იყო, განსაკუთრებული ბნელი დრო, როცა კაცს უნდა ეძინოს ხოლმე,

მაგრამ ახლა სავსებით იგრძნო მისი იღებალი და საშინელი შინაარაც, კაცმა რომ სიკვდილს არ დაუჯეროს, გარეშემო ცველაფერი ჩვეულებრივი უნდა ესმოდეს და ხედავდეს: ფეხის ხმა, ლაპარაკი, სინათლე, მეავე კომბოსტოს სუნი ახლა კი ცველაფერი უჩვეულო იყო — ეს სიწყნარე და სიბრელე თავის-თავათ თითქოს სიკვდილი იყვეს.

რამდენათაც მეტს გაუგძელდებოდა ღამე მით უფრო მეტს შიშსა გრძნობდა. ველური აღამიანის გინდა ბავშვის გულუბრუვილობათ, რომელთაც ცველაფერი შესაძლებლათ მიაჩნიათ, იანსონს უნდოდა ეყვირნა მზისათვის: გაანათე! სთხოვდა, ემუდარებოდა გაენათებინა მზეს. მაგრამ დედამიწა მაინც ლამის წყვდიდში გახვეულიყო და არა სჩანდა ძალა დამთრგუნველი ამ სიბრელისა. და ამ შეუძლებლობამ, რომელიც მხოლოდ პირველით წარმოიდგინა იანსონის სუსტმა ტვინმა, შიშით აღავსო იგი: ჯერ კიდევ ვერ შეხედავდა ამ საშინელების გარკვეულათ წარმოდგენას, მაგრამ იმას უკვე გრძნობდა, რომ სიკვდილი არ ასცდება და მომაკვდავის ფეხი უკვე ეშაფოტის პირველ საფეხურისკენ მიქონდა.

დღის სინათლემ ხელახლა დაამშენდა იანსონი, ღამემ ისევ შეაშინა და ასე გაგრძელდა იმ ღამემდე, როცა მან გაიგო და იგრძნო კიდეც, რომ სიკვდილი აუცილებელია, სამი ღლის შემდეგ, ალიონზე ეწვევა კიდეც, მზის ამოსვლისას.

არასოდეს არ უფიქრნო იმაზე, თუ რა არის სიკვდილი, მისთვის სიკვდილს სახიერება არ ქონდა. — მაგრამ ახლა კი ნათლად იგრძნო, დაინახა, რომ იგი კამერაში შემოვიდა და ხელების ფათურით ეძებს მას, — გაქცევა დააპირო და სიჩბილი დაიწყო კამერაში.

მაგრამ კამერა ისე პატარა იყო, რომ გეგონებოდათ, წვეტიანი კი არა, ბლაგვი კუთხები აქვს და ცველანი შუაგულისკენ უბიძებები მასო. არც არაფერია ისეთი რომ ამოეფაროს. კარც დაკეტილია. სინათლეც არის. რამდენჯერმე ჩუმათ მიეჯახა კედლებს ტანით, ერთხელ თავი მიარტყა კარს — ჩამი-ჩუმი არ ისმის, ყრუა ცველაფერი. რაღაცას წაწყდა და პირქვე დაეცა და აქ იგრძნო, რომ ამ რაღაცამ ხელები წაავლო. და ისე იატაჭე პირქვე ჩამხაბილმა, ბნელ, ტალიხიან ასფალტზე წაწოლილმა იანსონმა ღრიალი მორთო საშინელებისაგან. იწვა და რაც ძალი და ღონე ქონდა ღრიალებდა, სანამ არ შემოვიდნენ მასთან, და როცა იატაჭებინ ააყენეს, ლოგინზე დაწვინეს და

ცივი წყალი გადასხეს თავზე, იანსონი მაინც ვერ ბედავდა გაეხილა მაგრად დახუჭული თვალები.

ნახევრათ გააღებდა ერთ თვალს, დაინახვდა ნათელს ცარიელს კუთხეს ან ვისამე წალას სიცარიელეში და ხელ ახლა მორთავდა კვირილს.

მაგრამ ცივმა წყალმა მოქმედება იწყო. უშველა აგრეთვე იმ გარემოებამაც, რომ მორიგე დარაჯმა, იმავე მოხუცებულმა, რამდენჯერმე ჩარტყა იანსონს თავში სასწავლებლათ.

და ამ შეგნებამ ცხოვრებისამ მართლაც რომ გაფანტა სიკვდილი, იანსონმა თვალები გააღო და მაგრათ იძინა მთელი დანარჩენი ლამე იმღვრეული ტვინით. გულალმა იწვა, პირი დაელო და ხმიაღლა ხერინვისთვის ამოეკიდნა; ნახევრათ დახუჭულ წამწამებში-კი თეთრად შოსხანდა პრტყელი და მკვდარი უგუგაო თვალი.

მერმე კი ყველაფერი ქვეყანაზე, დღეცა და ლამეც, ფეხის ხმაცა და ხმებიც, მჟავე კომბისტოსავან შეზავებული შექამანდი ყველაფერი ეს მთლიან საშინელებათ გადაექცა, ველურმა, გამოუთქმელმა განცვიფრებამ შეიძყრო იგი. მისს სუსტ გონებას ვერ გადაება ეს ორი წარმოდგენა, ასე საშინლათ მოპირდაპირე ერთი მეორისა: ჩვეულებრივი ნათელი დღე, სუნი და გემო კომბისტოსი და ის გარემოება, რომ ერთი-ორი დღის შემდეგ უნდა მომკვდარიყო. არაფერზე არ ფიქრობდა, საათებსაც აღარ სთვლიდა, არამედ ისე გაშტრეტებულიყო, გა-ქვავებულიყო ამ წინააღმდეგობის წინაშე, რომელსაც მისი ტვინი არათ გაეკუწა; სულ მთლიად ჩაფირდა, თუმცა შესახედავათ დამშვიდებული გე-გონებოდათ. არაფერს აღარ სჭამდა და ძილი აღარ ეკარებოდა: ან ფეხებ მოკუნტული შიშიანათ მთელი ლამე იჯდა ტაბურეტზე, ან და ჩუმათ, შემპარავით და მძინარე თვალებით-გარშემო. მაცერალი დადიოდა კამერაში, მას პირი მუდმი ნახევრათ ღია ქონდა, თითქოს სულ ერთავად შეუბყრია რაღაც დიდს მოუშორებელ განცვიფრებას; და სანამ ხელში იღებდა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ საგანს, დიდხანს ჩერჩეტივით სინჯავდა მას და რაღაც უნდობლად ლებდა ხელში.

რაკი ასეთი შეიქნა იანსონი, დარაჯებმაც და მისმა ყარაულმა სალდათმაც, მიანებეს თავი, უურა-დღებას აღარ აქცევდენ მას ასეთი იყო ჩვეულებრივ მდგომარეობა სიკვდილით დასჯილისა, მდგომარეობა, მსგავსი, დარაჯის აზრით, რომელსაც არასოდეს არ გამოუცდია იგი, იმ მდგომარეობისა რომელსაც საკუთხი საქონელი განიცდის, როცა მას შებლში

უროს ან დიდ ჩაქუჩის ჩაპრავენ ხოლმე წასეჭუ-ვათ.

— დაყრუვდა უკვე, სიკვდილამდე არაფერს აღარ იგრძნობს.—გამომცდელი თვალებით უცქეროდა მას ამ სიტყვებით დარაჯი.—აი ივანე, ივანე, გემის? ა?

— მე ნუ ჩამომახრჩობენ—ყრუთ გამოეხმაურა ივანე, და ხელახლა დაბლიცა პირი.

— შენ კიდევ კაცს არ მოვკლავდი და არ ჩამოგახრჩობენ—დამრიგებელი კილოთი უთხრა უფროსმა დარაჯმა, ჯერ კადევ ახალგაზდამ, მაგრამ ძლიერ ჭიმია კაცმა, ორდენებით გულზე—თორემ მოკვლით მოჰკლი, ჩამოხრჩობა-კი არა მსურს.

— აღლო და გააგორა! ტუტუცია, სკლელი, მაგრამ რომ ეშმაკობს კიდეცა?

— მე არ მინდა,—სთქვა იანსონმა.

— რა ვუყოთ, გენაცვა ნუ გინდა, შენი საქმეა,—გულგრილათ უთხრა უფროსმა.—სასულელების ჩახვას ისა სჯობია, ქონებაზე რამე განკარგულება მოახდინო—რამე მაინც გექნება.

— არაფერი არ აბადია. ერთი პერანგი და ფეხსახვევები და კიდევ აი ტყავის ჭული—რომ ფრანტობს კიდეცა!

ასე გავიდა დრო ხუთშაფათამდე, ხუთშაფათსკი ლამის 12 საათზე იანსონთან კამერაში ბევრი ხალხი შევიდა და ვიღაც პაგონებიანშა კაცმა უთხრა:

— აბა მოემზადენით, უნდა წახვიდეთ.

იანსონმა ისევე ზანტათ და ზოზინით, ჩაიცა რაც კი რამ ებადა, და ყელზე მოიხვია ტალახიანი მოწითალო შარფი. მის ტანზე ჩაცმა რომ დაინახა პაგონებიანშა კაცმა პირში, რო პაპიროზი ეკავა უთხრა ვიღაცას:

— რა თბილი დღეა დღეს. სულ გაზაფხულია.

თვალები ერთი-მეორეზე ეკვროდა იანსონ, მთლიად ეძინებოდა და ისე ზოზინებდა, რომ დარაჯმა შეუყვირა:

— აა, ჩერა. დაგეძინა?

უცბათ შედგა იანსონი.

— არ მინდა,—სთქვა მან.

ხელები გაუყარეს და ისე წაიყვანეს, იგიც და-ემორჩილა და მხრებ აწეულმა გასწია. გარეთ უც-ბათ მოხვდა გაზაფხულის ნოტიო ნედლი ჰაერი; მიუხედავათ იმისა, რომ ლამე იყო, სითბოს უმა-ტებდა და საიდანაც ძირს ქვაზე წკრიალით ეცემოდა ხშირი, მხიარული წვეთები, სანამ შავს, უფან-რებო კარეტაში ხელების რახუნით დაპუზული შე-



დოლენ უანდარმები, იანსონი ზანტათ ისეამდა სველ ცხვირ ქვეშ თითს და ცულათ შეკრულ შარფს ისწორებდა.

#### 4. ჩვენ, არიოლელნი.

იმავე სამხედრო-საოლქო სასამართლომ, საცა იანსონი გაასამართლეს, ჩამოხსრობა გადაუწყვიტა არიოლის გუბგრნიის გლეხს ელეცის მაზრელ მიხაილ გოლუბეცს, რომელსაც შეტ სახელათ მიშვა ციგანის, ან და თათარს ეძახდენ. უკანასკნელი მისი დანაშაული, რაც დანამდვილებით იცოდნენ უკვე, ის იყო, რომ სამი კაცი მოჰკლა და შეიარაღებული გაძარცეა ჩაიდინა; რაც დანარჩენს შეეხება, მისი შავბნელი წარსული სადღაც შორს თალისმურ ჯურლმულში იყო მიმალული. ამბობდენ ბუნდოვანათ, ვითომც მას მთელი რიგი ძარცე-გლეჯა და მკვლელობა ჩავდინოს, გრძნობდა კაცი, რომ მას უკან დაეტოვებინა სისხლი და ცეცხლი, და ბნელი გალეშილი თრევა-თარეში, იგი სრულის გულ-ახდილობით, გულწრფელათ ყოჩალს უწოდებდა თავის თავს და დაცინვით ეპყრობოდა იმათ, რომელნიც მოღნურ სახელს „ექსპროპიატორებს“ ირქმევდენ. უკანასკნელ დანაშაულზე, რომლის გადამამავა მაინც არაფერს უშველიდა, იგი დაწვრილებით და ხალისით მოჰკვებოდა, წარსულის შესახებ შეკითხვებზე-კი კბილებს დაკრეჭდა და და შტვენს მოჰკვებოდა:

— სდიე ქარს, სანამ არ მოეწიო!

მაგრამ როცა ძალზე ჩაცივდებოდენ, ციგანები სერიოზულსა და ლირსეულ სახეს მიიღებდა.

— ჩვენ ყველანი, არიოლელნი, თავზე ხელ-ალებულები ვართ—დიდ კაცურათ და საზრიანათ იტყოდა ხოლმე იგი.

— არიოლი და კრომი ქურდებია ხომა? კარაჩევი და ლივნი—ქურდთვის გასაკვირნია. ელეცი რომელია, ქურდთა წარმოშობელია, ამაზე მეტი რაღა გნებავთ?

ციგანები მას მისი გარევნობისა და ქურდული გაიძვერობისთვის დაარქვეს. განსაცვიფრებელი შავი თმები ქონდა, ხმელ-ხმელი იყო. ცოტათ მოყვითალო, ალანძული წვეტიანი თათრული ლოკის ძვლებით: რაღაც ცხენივით გადმოკარვლავდა ხოლმე თვალებს. და, მუდამ სადღაც მიეჩარებოდა; უცბათ, მოკლეთ შემოგხედავდათ, მაგრამ ისე პირდაპირ და იქამდე გამომცლელათ, რომ შეგეშინდებოდათ; რასაც კი მოკლეთ შეხედავდა, თითქოს რაღაც მოჰკაროთ, შეხედულს რაღაც ეკარგებოდა

და თითონ სხვანაირდებოდა. პაპიროსისთვინ რომ შეედნა, მერმე მისი აღება ისე უსიამოვნო და ძნელი იყო, თითქოს იგი უკვე სხვის პირში ყოფილობის, რაღაც მუდმივი მოუსვენრობა იჯდა მასში და ხან კრუნჩხავდა მას ეკლებივით ბან აქეთ-იქით ისროდა მას კლაკნია ნაპერწკლების ფართო ჩალის კონათ. წყალსაც თითქმის ვედროთი სვამიდა ცხენივით.

სასამართლოში კითხვას აძლევდენ ყველაფერზე წამოხტებოდა და მტკიცეთ და მოკლეთ თითქოს სიამოვნებითაც: წამოიძახებდა

— მართალია!

ზოგჯერ ხაზსაც გაუსვამდა

— მარ-რ-თალია.

და სრულიად მოულოდნელათ, როცა სულ სხვა რმავზე იყო ლაპარაკი, წამოხტა და ჰკითხა თავჯდომარეს:

— ნება მიბოძეთ დავუშტვინო!

— რისთვის?—გაუკვირდა იმას.

— აი იმათ რომ უჩვენებს ჩემზე, ამხანაგებს „სიგნალს“ აძლევდათ ძლიერ საინტერესოა.

თავჯდომარე ოდნავ ყოყმანით დაეთანხმა ციგანები უცბათ თხხი თითო-თითო ხელიდან ორ-ორი. თითი პირში იკრა, თვალები მხეცურათ გადმოყლიბა და სასამართლოს დარბაზის მკვდარი ჰაერი შეარყია ნამდვილმა ველურმა ავაზაკურმა სტვენაშ რომლისგანაც გიუდებიან და უკანა ფეხებზე დგებიან გაყრუებული ცხენები და უნებურათ უკრთის ადამიანს სახე. ამ არც ადამიანურს და არც მხეცურს, ყურთამგლეჯა ლრიალში ყველაფერი ისატებოდა—მომაკვდინებელი ბოლმაც, იმისი, ვისაც ჰკლავენ, ველური სიმხიარულე მკლელობისა საშიშარი გაფრახილებაც, სიბნელე შემოდგომის ავდრიანი დღეც და მარტოობაც.

თავჯდომარემ რაღაცა დაიყვირა, მერე ხელი დაუქნია ციგანის და ისიც მორჩილებით მიწყნარდა. როკორც არტისტი, რომელმაც შესანიგვავთ შეასრულა ძნელი, მაგრამ მუდამ მოსწრებული არია, ჩჯდა, გაიშმინდა ხალათზე ძველი ნაპირალი თითები და კმაყოფილი თვალები გადავლო იქ მყოფთ.

— აი ავაზაკი!—სთჭეა ერთმა მოსამართლეთაგან-მა ყურის ფხანით, მაგრამ შეორებმ, ფართო, რუსული წვერი და თათრული ციგანკუივით თვალები რომელი ქონდა, ოცენებით გახედა მაღლა ქრის, გაიღია და უპასუხა:

— მართლაც, რომ საინტერესოა.

და დამშვიდებული გულით, არც შესცოდვებიათ, სინდისის ქენჯნის ნატამალიც არ უგრძვნიათ ისევ მოსამართლეებმა ციგანოკს სიკვდილი მიუსაჯეს.

— ნამდვილია! — სთქვა ციგანოქმა, განაჩენი რომ წაუკითხეს! — მოწმენდილი მინდორი, ორი ბოძი და მათზე გადებული ხე ხომ მართალია!

მიუბრუნდა ყარაულ სალდიათს და ვაჟკაცურათ შესძას:

— წავიდეთ, ჩინჩურა ოხერო! მაგრათ დაიჭი თოფი ხელში, თორებ წაგართმევ!

სალდათმა მრისხანეთ, შიშიანათ შეხედა, ამხანაგს გადახედა და თოფის ჩახმახი მოსინჯა, მეტრებაც პირველს მიბაძა. სატუსალომდე მთელი გზა ისე გაიარეს სალდათებმა, თითქოს როდი მიღიან, არამედ მიფრინავენ ჰაერშიო — ისე მოხიბლა იგინი დამნაშავემ რომ ვერც მიწას გრძნობდენ ფეხებ ქვეშ, ვერც დროს ამჩენედენ, ვერც თავიანთ თავს.

(შემდეგი იქნება).

### ა. ლომთათოდე.

## გენსენ მოვილცვი.

აქა მინდორი ობოლი,  
ფრთებ შეკვეცილი, მდუმარე,  
სახე კაეშნით მოსილი  
ფერ მიმკრთალი და მწუხარე,  
ქარი ბოროტად მქროლავი,  
ყორნებიც შავ-ფრთებიანი  
და კა სიბნელის მფრქვეველი  
მოყუპრულ თვალებიანი.

შენსკენ მოვდივარ, მიდამოვ,  
დიდი გზა გამოვიარე,  
ობოლი ობოლის გეწვევი,  
ფიქრები გამიზიარე.

\* \*

აღარ ჩუხჩუხებს ნაკადი  
ხმა საამური, ანკარა,  
იმისი სახე ცქრიალა  
ყინვა და თოვლმა დაფარა.

შენსკენ მოვდივარ, ნაკადო,  
დიდი გზა გამოვიარე,  
ობოლი ტანჯულს გეწვევი  
ფიქრები გამიზიარე.

სად ყვავის ტურფა წალკოტი,  
რომელ მხარეში, რა აღილს,  
ფრთებში რო ვეკონებოდი,  
სურნელოვანსა მისს ყვავილს

სადა ხარ, სადა წალკოტო,  
დაგეძებ, ბევრი ვიარე,  
ფიქრი ფიქრს მივცეთ, ლამაზო  
გრძნობები გამიზიარე.

\* \*


შენსკენ მოვილტვი, ჩაგრული,  
შენსკენ რბის გული და სული,  
ჩემი გრძნობა და ფიქრები  
კაშით გარემოცული  
შენთან იპოვის ბინასა:  
— შენ მათ გაიგებ სრულათა,  
ჩემი ცხოვრების მიზანსაც  
არ დაგმობ ვერაგულათა.

ბ. გელა.

## ცოტა რაგ ხელოვნებაზე.

### IV

ჩვენ წინა წერილში ვამბობდით, რომ სიკ-  
შვენიერის სიამოვნება ერთგვარი, ერთნაირი თვა-  
სებაა სულიერი მოძრაობის, რომელიც არსებითათ  
განსხვავდება ადამიანის დანარჩენ ცსიხიურ მოძრაო-  
ბიდან. ეჭვს გარეშეა, რომ წარმოდგენის მიერ გა-  
მოწვეული ყოველი სულიერი მოძრაობა არ არის  
სიმუშვენიერის შთაბეჭდილება, ესტეტიკური სიამოვ-  
ნება. ხშირათ თითოეული სუბიექტი ამა თუ იმ სა-  
სიამოვნო წარმოდგენას, სასიამოვნო შთაბეჭდილე-  
ბას ვერ არჩევს ხელოვნებიდან, ერთი მეორეში  
ურევს. ეგრეთ წოდებული „ტენდეციური, ხელოვ-  
ნება“, ე. ი. ისეთი ხელოვნება, რომელიც სიმუშვ-  
ენიერის შთაბეჭდილებიდან კი არ გამომდინარებს,  
არამედ მისი მთავარი მიზანია, თავისის დასურათე-  
ბულ ფორმებით და თავის წარმოდგენებით განსაზღ-  
ვრულ კლასის თუ ჯგუფის სოციალური, მო-  
რალური და რელიგიური მოთხოვნილება დაკმა-  
ყოფილოს. ჩამდენათაც „ტენდენციური ხელოვნე-  
ბა“ ასეთია, იგი არ არის ხელოვნება, არ არის  
ხელოვნების მატარებელი; მისთვის ხელოვნება  
მხოლოდ საშუალებაა, ხელოვნების გარეგნანი ფორ-  
მები-კი მისაბაძი საგანი — ხელოვნების ლიტერატუ-



რაში და საერთოთ ფილოსოფიურ ნაწარმოებში არა, ერთხელ და ორჯელ გამოუკევამთ ის აზრი რომ ხელოვნებამ არ იცის ტენდენცია, იგი არ ელტვის თავის გარეშე მდებარე მისწრაფებას; ვინაიდგან იგი თითონ არის მიზანი, თითონ შეიცავს მას. მიზანი და დანიშნულება ხელოვნებისა იმაში მდგომარეობს, რომ მან სიმწვენიერის შთაბეჭდილებანი, სიმშვენიერის წარმოდგენები სიმშვენიერის იჯერები რამდენათაც შესაძლოა, ზედმიწვენით დაასურათოს, ანუ სწორეთ რომ ვსოდვათ — გადმოსურათოს, გამოხატოს, დაახლოებით, შეუცვლელათ გადმოგვცეს ეს არის ხელოვნების დანიშნულება, ამაში გამოხატება მთელი მისი მიზანი. ხელოვნების შეუძლიან სიმშვენიერე კონკრეტულ გამოხატულობაში დაინახოს, ხილულ მოვლენებში შეამჩნიოს და ეს გადმოსურათოს; მას შეუძლიან აგრეთვე ადამიანის შინაგანი სულიერ განწყობილება, სულიერი, მდგომარეობა, ესა თუ ის ფაქტი, ესე თუ ის აზრი — მიმართულება, რელიგიური, თუ სოციალური იდეალი იგრძნოს, შთაბეჭდილება მიიღოს და შესაფერ გარეგან ფორმაში ჩამოასხას. ამას იგი, ე. ი. ხელოვანი — გამიზნულათ კი არ შვრებ, განსაზღვრულ მიზნის მისახწევათ კი არ აკეთებს, არამედ მას ამისაკენ მიაქანებს მისი შინაგანი აღძრა, შინაგანი სულიერი იძულება, რომელიც სრულიად განხვავდება პირველიდან. მას სხვა მიზანი არა აქვს, გარდა სიმშვენირის შთაბეჭდილების დასურათებისა, თავის სიმშვენიერის გრძნობის გამოხატვისა. შეიძლება ეს სიმშვენიერე ამა თუ იმ ბუნებრივ საგანს, ადამიანის გარეგან სახეს და საერთოთ მთელ ცხვრებას ეხებოდეს, უკავშირდებოდეს, ე. ი. იკი შეიძლება რელიგიურეთიკურ, თუ სოციალურ იდეიალის გამომხატველა, მატარებელი იყოს. და რამდენათაც ეს მოვლენა ძრიელია, რამდენააც სიმშვენიერის შთაბეჭდილება ამა თუ იმ ხელოვანის მის სუბიექტურ გრძნობის გამომხატველია, პირადულ შთაბეჭდილების მატარებელი არ არის; რამდენათაც ეს სიმშვენიერის შთაბეჭდილება გააფართოებს, გადაღახეს ხელოვანის მის საზღვრებს, და შეეხება ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებას, იმდენათ მისი ხელოვნების შთაბეჭდილება, მოქმედება ძრიელი იქნება. მხოლოდ ასეთ ხელოვნებას შეუძლიან მრავალ ადამიანთა შინაგანი გრძნობა მოძრაობაში მოიყვანოს, გაუღიძოს შორს-მჭვრტელობა, დაბადოს მთელი რიგი სიმშვენიერეთა მისწრაფებანი, უსაზღვრო აზრთა და სოსიაციათა გრძელი. მხოლოდ ასეთ ხელოვნების შეუძლიან, დროთა ცვალებადობას გასცდეს,

უფრო ღრმათ რომ გამოვსთქვათ მას ექვემდება მთაბოლების სიმბოლიური ხასიათი; იგი იქნება ცხოვრების სიმბოლო,

კაცის შეხედულობა, ვითომ სიმშვენიერის შთაბეჭდილების შემცნება ჩვეულებრივ გონების და ნების ნიადაგზე ვითარდებოდეს, ჩვენის აზრით, სრულიად სიმართლეს მოკლებულია. თანამედროვე ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ეს შეხედულება უარყოფილია. ისტორიულ მატერიალისტურმა შეხედულებამ ესტურიკაზე მცირო მთავარი მიზეზი გამოუძებნა ხელოვნებას და მჭიდრო ნიადაგზედაც დააყენა იგი; იგი აშკარათ გვიხატავს თუ საზოგადოებრივი მოძრაობა რა გზით და სახით გავლენას ახდენს სიმშვენიერებაზე, რომელიც ხელოვნების ოქროს გულათ იწოდება; თუ ადამიანის გრძნობა, სულიერ მღელვარეობათა მოძრაობა, წარმოლენა და იდეიათა შინაარსი როგორ იცვლება და ვითარდება წარმოების წესის, წარმოების ურთიერთობის ცვლა-განვითარებისთან. ასე რომ მატერიალისტურმა შეხედულებამ ხელოვნებას საერთო სოციალური ნიადაგი გამოუძებნა, სოციალურ ბაზისზე დაამყარა. სოციალური ცხოვრება კი კერძო საკუთრების აღორძინების დღეიდან სავსეა წინაღმდევობით, გაჩნდა კერძო ინტერესთა შეხლა-შემოხლა. ბურუჟუზიულ-კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეს წინაღმდევობა განვითარების უმაღლეს წერტილობის აღის; აქ თითოული ადამიანის მოვალება და მიღრუკილება შეესამება საზოგადოებისას, ვინაიდან პირადული ინტერესი გაბატონებულ კლასებისა მოითხოვს ასებულ წარმოების წესის მწრაფების გაძლიერებას, რომლის მთავარი მიზანია მოვების გადიდება, კონკურენციის კანონების დამტკიცება; ყველა ეს ერთათ აღებული კი ფაქტურულათ მხოლოდ და მხოლოდ მიმართულია უმრავლესობის ბენდინერების, მასის მ-სწრაფება—მიღრუკილების წინააღმდეგ, ამის გარეშემო ტრანსპორტის მაქლი ხალხის სულიერი შემცნება, აღამიანთა სულიერი მშვიდობანობა, მასი გრძნობა-შთაბეჭდილება. თუმცა ბურუჟუზიულ-კაპიტალისტურ განვითარების პირველ ხანაში, ვიზრე იგი სრული გეგმონით ალიკურვებოდა, თავის ბურუჟუზიულ განმანათლებელ იდეალებს, თავისუფლების და თანასწორების პრინციპებს, კუჭყ მოუცხებლათ სიმშვენიერებაში ანხორციელებდა, ხელოვნებაშიაც ხატავდა; მაგრამ როგორც კი ხალი საზოგადოებრივი წეს-წყობილებამ განვითარების მაღალ წერტილზე მიახწია, ბურუჟუზია გამატონე

ბულ პოლიტიკურ პარტიათ შეიქნა, გამოძვრა ძველი იდეალის ნაჭერებით და შეიმოსა იგი პირმოთ-ნეობის და სიყიდების სამოსელით სხვა სიტყვებით, რომ ესთქვათ: მხოლოდ თანამედროვე კაპიტალისტურმა წეს-წყობილებამ შესძლო გაეღვიძებინა ხელოვნებაში საერთო, სოციალური იდეალებისადმი მისწრაფება: პირველი გზერაცია (ჩამომავლობა) ბურჟუაზიული ხელოფანები ამ მისწრაფების, ალტიცების აღს გულში ატრიალებდნენ, გულში იმარხავდნენ, მაგრამ ის სწავლა, რომელიც აშკარათ ღიადებდა „ხელოვნება-ხელოვნებისთვინათ“, ის შეხედ ულება, რომელიც მხოლოდ ცხოვრებას მოშორებულ, ცხოვრების გარეშე მდგომ ხელოვნებას აღვიარებდა სიმშვენიერეთ, მაინც მათ შორის ვერ პოულობდა ალაგს, ვერ იმსახურებდა საერთო ყურადღებას. განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, საცა საზოგადოებრივი მოძრაობა საშვალებას აძლევდა ხელოვნებას ცხოვრების იდეალი, ე. ი. საზოგადოებრივ ცხოვრების მიერ წარმოშობილი იდეალი. სიმშვენიერის იდეალათ მიეღო, იგი როგორც სიმშვენიერის იდეალი ეგრძნო. პირველათ ეს დაწინაურებულ სახელმწიფო ში-ინგლისში და არა სხვაგან — დიდებულმა მგოსანმა ზელეიმ თავის სიმშვენიერის ნეკტარს სოციალურ იდეალიზმიდან იღებდა. და რამდენათაც თანამედროვე ცხოვრების განვითარება წინ მიღის, იმდენათ ხელოვნებაც უახლოვდება ჩვენ მიერ ზევით დასახელებულ ტერდენციას, უახლოვდება თავის ნამდვილ დანიშნულებას, ე. ი. ხელოვნური სიმშვენიერე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეძებს თავის იდეალებს.

### შვარცი.

\* \*

გაიცინეთ ვიღაცამ მითხრა,  
შუბლი შეკრული გაიხსენიო,  
დაეწიფევი შვების ნაკადულს,  
ტკბილათ განაგრძე დღენი შენიო...

დედავ! გაიგე რაებს მირჩევენ  
ტკბილის ძუძუო შენს მკერდზე გაზრდილს?  
იცი რა უთხრეს შვების შვილება  
თვალ აცრემლებულ შენსა პირშო, შვილა?

ნუ გახსოვს დედა, დაივიწყო,  
ნუ, ნუ შეაშრობ თვალებზე ცრემლსა,  
ნურად მიიჩნევ მშობლის ვაებას  
და შენი გული მისთვის ნუ ცემსო...

ვაპმე დედიკა? ვის გაცცვლი შენზე?  
განა მტრას რჩევა როდის მსმენია?..  
გრძნობა-გონება, შენგან შექმნილი  
მუდამ შენია... მუდამ შენია...

შენც ხომ გაიგე, მუშავ, მაშვრალო  
რა უთხრეს შენს ტოლს, შენს გვერდით აღზრდილს?..  
უსაყვედურეს უკილო და კვნესა  
შენთან მეუღლეს ჭირის ოფლის შვილს....

ეუბნებინ: ნუ გაგონდება  
ბნელი საკანი, სახრჩობელაო,  
ყურს ნუ დაუგდებ ბორკილის რაჩხუნს,  
გულს ნუ აგიმღრევს ცრემლის დენაო...

ვაპმე, მაშვრალო! ვით დავივიწყო  
ჩემი მშობლის მწარე დღენია?..  
გრძნობა-გონება შენგან შექმნილი  
მუდამ შენია... მუდამ შენია...

გ. მალაქიაშვილი.

## მ ა ღ ა რ ა ს მ უ შ ა.

დრამა ერთ მოქმედებათ

— ლუ მერტენისა —

(თარგმანი გერმანულიდან)

მომხმარებელი პირები.

იაკობ ბურგერ. — მაღაროს მუშათა ირგანიზაციის ხელმძღვანელი, წინათ მაღნის მთხრელი.

ბრუტიუ ბურგერ. } ბრუტიუ ბურგერ. }

ქადაგი ქადაგი ქადაგი ქადაგი ქადაგი ქადაგი

გადამა გადამა გადამა გადამა გადამა გადამა

მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ

ვე შვილები ჭრექიანებს წაგვანან.

გრეტი,

თორამეტი წლისა, ჯიუტი და სერიოზული მჯელობის პატრონი.

ჰერმანი,

ოცდა ერთი წლისა, მაღალი, წელში ოდნავ მოხრილი. გონერი და ფართოდ გადაშლილი შუბლი, უწვერო, ახლად ამწვანებული ულვაშები, მოყვითალო, დრო გამოშვებით მკაცრი სახის გამომეტყველება, ხანდისხან ფანტასტიური გატაცება ეტყაბა, უშნოდ ადგია ევროპიული ტანისამოსი.

ორივე ლაპარაკობენ და მოძრაობენ, როგორც ჭრექიანები. ტემპერამეტი: თავისმოდებით მოლაპარაკენი, შეგნებულათ და აღელვებით.

სცენა ცწარმოებს მთა-მაღალის მიღმიღებში სურათი ადებულია დღევანდელ ცხოვრებიდან. ოთახი სულ ერთი და იგივე, სულ უბრალოდ მახშობილი.

### გამოცდლა პირველი.

(მარჯვნით და მარცხნით კარები მარჯვნივ შუა-კარებთან მოხრილი ფანჯარა. იქვე სდგას ტახტი. კარების პირდაპირ ჩამოშვებულია ფარდა, რომელიც ოთახს შუაზე ჰქონდა. მარცხნივ: საწერი მაგიდა, ზედ წიგნები ალაგია)

ნაშუადლევია. დავთბ ბურგერი საწყრ მაგიდასთან ზის და რაღაცას სწერს.

გრეტი—(ლოგინზე წამომჯდარი) — მამი, მითხარი, დღეს უკვე ცხრა კვირა სრულდება, რაც გაფიცა გრძელდება, არა?....

ბურგერი.—(ფიქრის შემდეგ) .... ცხრა კვირა! ვი.

გრეტი—სწორეთ ის დღე იყო, როცა მე უნდა დავწოლილიყავ — ეს მე ძალიან კარგათ მახსოვეს....

ბურგერ.—დიდი ხანია ზას შემდეგ, რაც ჩემს დასახებლათ მოვიდენ?

გრეტი—ერთი სათი იქმნება. მაშ აღარ გინდა წასვლა?

ბურგერ.—რისი ვის?.... როცა ჰერმანი იქ არის მაშინ ჩემი დახმარება აღარ არის საჭირო....

(ხანგრძლივი პაუზა)

გრეტი—მერე რით გათავდება მთელი ეს გაფიცა, მამი?

ბურგერ (უიმედოთ შეხედავს) ჯერ არ ვიცი, შეიღო, შეიძლება დავმარცხდეთ, მიუხედავათ ჩენ თავგანწირულ ბრძოლისა

გრეტი.—არა!

ბურგერ.—ყველა საშეა ება ვიხმარეთ, მეტი აღარ შეგვიძლიან. ხალხი, განსაკუთრებით წვრილ-

შვილიანი დედაკაცები, უკვე სასოწავლებელი ლებას მიეცენ, გამარჯვების იმედი აღარ აქვთ. მთა-მაღალის-პატრონებს აშკარათ ეტყობათ, რომ დათმობას არ აპირებენ. მალე ზამთარიც და გვიდგება....

(სიჩუმე)

გრეტი—შენ ხომ სთქვი დღეს დაკუტარი უალზი მოვაო, და იქმნება იმან დახმარების იმედი მოგვიტანოს თქვენ არ უნდა დაუთმოთ, მაში. ბურგერი.— ვი, ის მოვა. მაგრამ არ ვიცი თუ ის რაიმე ალთქმას მოგვიტანს? თუ რომ ხალხი გაუძლებს ამდენ ხანს ქუჩაზე უმუშავრათ გაჩერებას.... და შერე.... როდემდის?....

გრეტი.— მამი, შენ წყოველი ღონისძიება უნდა მიიღო, შრომა და ძალა არ უნდა დაიწურო!

ბურგერი.— შეიღო, შენ ამას შეუბნები, ამასვე შეუბნება მუდამ დღე ჰერმანი— და მეც ამ აზრისა ვარ.... ახ, მე, თითქოს ძალა გამომელია, აზრი აღარ მქონდეს, მას აქეთ რაც ჩემი ჰერმანი ასე.... არის და შენ.... (მნელდება) განა ის არ კმარა, რომ მე ორი უფროსი შეიღო და დედა ვამსხვერპლე ამ საქმეს? (ძალა გამოლეული თავს ჩაკიდებს)

გრეტი.—(ცოტად წელში გასწორდება, ცოლობს რაც შეიძლება დამშვიდებული იყოს) გვეყო, გვეყო, მამი, ისიც რაც ჩენ ტანჯვა და ვაივაგლახი გადავიტანია, შენ ნუღარ უმატებ.... მაგრამ, მამი!... კარგათ იცი, რომ მე და ჰერმანი უნდა დავიხილეთ. ეს იუცილებელია. ამან შენ სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩაგაგდოს. მერე.... მამი, შენ სრული თავისუფალი იქნები და თავისუფლად შესწირავ სხვას თავს.

ბურგერი—(ბოლმისაგან საკოდავად ოხრავ)

გრეტი—(ფრთხილი სახის გამომეტყველებით მისჩერებია მამას) მამი, მას შემდეგ, რაც მე და ჰერმანი გავიგეთ, რომ ჩენ ხანგრძლივი სიკოცლე არა გვაქვს, სრულებით ამაზე არ ვდარღობდეთ: მხოლოდ შენი დარღილა გვაწუხებს!.... შენ როგორ გადაიტან ამ უბედურებას.... (ალერსით) შენ ენით გამოუთქმელი სიმაგრე უნდა გამოიჩნო, საყვარელო მამავ!

ბურგერი.—(მიუბრუნდება გრეტის) განა შენ და ჰერმანი ამისთანებზე ლაპარაკობთ ხოლმე? თქვენ აუცილებელ სიკვდილზე.... მართალია.....

გრეტი.— დაწყნარდი, მამი! ჩენ, როგორც ჭრექიანებს ხომ შეგვიძლიან ამეზედ საუბარი. შენ

ოცოდე ჩვენ ეს სხვებიდან გავიგევით, ვალტერი-დან დალიედან და.... შენ მამი, ჩვენ ორივენი მალე გამოვესალმებით წუთი—სოფელს.... შენკი მარტო დარჩები.

ბურგერი. (დალვრემილი, გადაჭრით) არა!

გრეტი. (მტკიცეთ) მანი, სხვები, ორმლებიც უფრო უციცები არიან, ვიდრე ჩვენ, უფრო დარიბნი აზრით და შეხედულებით.... ვფიქრობ.... და ასეთივე უნუგეშო— უბედურ მდგომარეობაში არიან.... მამი, ისინი შენ გაჟირობები! შენ იმათ ეკუთვნი. (ძალა გამოლეული) ახ! ჰერმანს, რასაკირველია, უკეთესათ შეეძლო შენთვის ეთქვა, რასაც ჩვენ ვფიქრობთ, რა აზრისანიც ჩვენ ვართ.

რომჯ ერმანი უნდა მოსწყდეს წუთი-სოფელს, ეს საშინლებაა.... რადგან იგი განსაკუთრებული ადამიანია, რა არა ჩვეულებრივი ადამიანი იქმნებოდა!....

ბურგერი. (მოუახლოვდება). გრეტი, როგორ შეიძლება, რომ შენ ამაზე ასე გატაცებით ლაპარაკო. შენ ჯერ ისეთი ახალგაზრდა ხარ.... განა ეს საშინელება არ არის?.... (მამას უჭირავს მისი ხელი) .... მაგრამ შენ ამაზე ბევრი არ უნდა ილაპარაკო, ეს შენ გაწყენს....

გრეტი. მე დღეს თავს სამაგალითდ კარგათ და მხიარულათ ვგრძნობ; მე, შემიძლიან ვილაპარაკო.... იცი, ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო, ვერ წარმომედგინა, რომ ეს ყმაწვილი მომკვდარიყო.... მთელი ლამები ვიწყები და საშინელ ტანჯვაში ვატარებდი განუწყვეტლივ მხოლოდ გავწიოდი, არა, არა, არა,— ახ! ყველა ასე არის, რომელმაც იცის ეს და გრძნობს ამას. ასევე დაემართა ელიას განა? (ბურგერი თანახმობის ნიშნად თავს უქნევს!) მაგრამ, მამი, მე მგონია, რომ ეს ჰერმანის-თვის უფრო ძნელი ასატანი იყოს, ის მეტად გრძნობს სიკლილს, მას მეტად უნდა სიცოცხლე და იბრძოლოს უკულმართობის წინააღმდეგ, მამი. დაბოლოს.... ჩემთვის?....? (უნდა მამა ანუგეშოს) შენ რომ არ იყო მამი.... დაბოლოს ეს ისე სამძიმო არ არის, რომ ამ გაშავებულ მიდამოებს და ცხოვრების ყველგვარ წვრილმანს და საშინელებას მოშორდეს აღამიანი. (დაეყრდნობა მამას) დიახ, მე ვამაყობ, მამი, რომ შენი შვილი ვარ, შვილი ერთ საწყალ მაღაროს მთხრელისა; მარა მე

უფრო მიყვარდა ლამაზი და ნათელი... (გაიღიმებს) რა ვიცით ჩვენ ქვეყნიერობისა: მზისა, ტყისა და მზისა. ჩვენ ვერაფერს ვხედავთ, მუდამ მიწის ქვეშე ვიმყოფებით, მზის შუქი არ გვეფინება, ჩვენი წრის ხალხი ამას თავს ვერას დროს ვერ დახმუშვის. (შესკერის მამას, თითქოს პასუხს მოელის მისგან).

ბურგერი.

(გამოუტერებული) ჰერმანიც?

ბრეტი.

ის ძალიან თავ-განწირვით იბრძვის, მამი, მარა... ის... ის, ისე ბევრს..., მეტ ნაწილს-კი შენზე... ჩვენზე... და უმთავრესად-კი სხვებზე და სხვებზე.... ფიქრობს სიკლილზე, და ბოლოს კი იმაზე, თუ როგორ მოეწყობოდა მომავალი ცხოვრება. (უყურებს დაეცვიანებული) მე არ ვიცი მამა, შენ თუ გაიგე, რის-თქმაც მინდოდა მე.

ბურგერი.

(წამოიწევს. გაკირვებულია) საუკხოვოთ ლაპარაკობ, შვილო. კმარა, თქვენ! თქვენ! შვილებო! შვილებო! და მე... (მღელვარებისაგან ველარ ახერხებს ლაპარაკს).

(შემდეგი იქნება)

თამრო ნაცვლიშვილი

## სიტეგა

ლარიბ ტანსაცმლით, ვით მგზავრი, მწირი, ის დადიოდა კარისგან კარათ, ფარისეველთა დაუძინარ მტრად, მაშვრალოთ მოსარჩევდ ჩაგრულთა ფარად.

— „მოლით, მაშვრალნო!“... და... მიდიოდენ; ისიც სუყველას ხელს უწოდებდა და ცხოვრებისგან დასჯილ-დაწიხლულთ ერთობისაკენ მოუწოდებდა:

„თქვენ ერთმანეთსა მიეცით მხარი, ურთერთის ტანჯვა აიტანეთო, სიკეთე მხოლოთ სიყვარულშია! ბოროტებისგან განიბანეთო.

ორის ჰერანგის მექონემ—ერთი მიეც სამისად სხვას, უცერანგოს, ქვეყნის სიმდიდრე—ყველას თანსწორად! ის მხოლოდ ზოგმა არ უნდა ჰყოლანგოს“... მაგრამ მდიდრებსა, ამ ქვეყნის ძლიერთ,

მცნება, ასეთი არ მოეწონა,  
მათ ის უნიდათ, რომ კვლავ შთენოდათ:  
ზეცა—საბუთად, ქვეყანა—მონათ.

ამხელრდენ და თან აიყოლიეს  
ბრბო უგუნური, ბრბო მოშიშარი  
და სიტყას, ხორცსხმულს, გოლგოთს წვერზე  
აატანინეს წამების ჯვარი.

ნიშნად დაცინვის და დამცირების,  
თავზე დაადგეს ეკლის გვირგვინი,  
შემდეგ აწამეს, სისხლი აღინეს...  
მოჰკლეს... მოიკლეს მხეცური ერი.

...დრო შეიცვალა, მაგამ ცხოვრებას  
კი არ შესცვლია მდგომიარება  
და სიტყვა ისევ, სიტყვა მართალი,  
ეკლის გვირგვინით დაიარება...

### 6. ზომლეთელი.

## დედის საფლავთან.

სულით ობოლი, ბედისგანა ანტირები  
დედას ვეძებდი... დაჩაგრულმა ვნახე სამარე:  
სიჩუმე იყო, საიდუმლოთ ქროდა ნიავი  
და ლრუბლებ შუა სევდიანი ცურავდა მთვარე...  
ლოდზე ჩამოვაჭეჭ, დაღონებით შორს გავყურებდი  
ირგვლივ დუღილი, ჩემს კაეშანს ეფარდებოდა,  
ცა დასეჩილი, ჩადრმისხმული ზე დამყურებდა  
და მთვარის შუქი მის სივრცეში შთანთქმებოდა.

შენი აჩრდილნი დაცურავდენ საფლავებ შუა  
მათი ჩურჩული საიდუმლოთ ნიავს არხევდა  
შორს გადაპქნინდა მთის ნიავსა მათი ნათქეამი  
იფინებოდა გარს გლოვის ხმა სევდა-ვაება...

— დედავ, ძვირფასო, საბრალო შენი შობილი  
ბედით დასჯილი, ყოველგანა დევნილ-გმობილი,  
მან ვეღარ პოვა მეგობარი. სატრფო გულისა  
არ განუცდია მას წუთები სიხარულისა,  
დადის მარტოკა განდევნილი, დაღონებული  
ექებს მეგობარს, რომ განდოს მას ტანჯვა გულის  
მას მიეკედლოს უსამართლოდ დაობლებული,  
რომ გაიგონოს კეთილ გულში ხმა სიბრალულის!..  
ექებს საბრალო აღარ იქნა ვეღარ იპოვა,  
მუდამ ობოლი შენთან მოდის დედავ, ძვირფასო,  
შენ შეგიძლია შეუხეიო გულის იარა,  
შენ მხოლოთ, შენ გიძს მისი გრძნობა, რომ და-  
აფასო!  
უბედურ შვილსა სიზმრათ მაინც გამოეცხადე

შენ იყავ მისი ამხანაგი და მეგობარი  
შენ განდობს გულსა სოფლიდანა გამოქუცული  
უსამართლობით ანატირი და განამწარი!

შევქვითინებდი მწირ ობოლი დედას საფლავსა,  
მაგრამ ის სდუმდა, არ მაძლევდა მშობლიურ ხმასა...  
შევი ლრუბელი სევდიან ცას ეფინებოდა  
და ვარსკვლავთ გუნდი მის კალთებში ითანრებოდა.  
დაწყნარებული-უშფოთველი ცყო მიდამო  
შავნი აჩრდილნი გაჩქარებით მიმოცურავდენ  
შორით-შორს შლიდენ ფრთებს განიერს სევდიანთა  
და საფლავებსა დუმილისა ჩადრს ახურავდენ...

სულით ობოლი, ბედისგანა ანატირები  
საყვარელ დედას შევსხიოდი ჩემ მწარე ხველრსა  
მაგრამ ის დუმდა, ჩახურებულ საბრალო შვილსა  
სამარის ცვარით მისველებდა მღელვარე მკერდია ..

### დემონ. \*) (დიმიტრი ქავთარაძე)

\*) 12, თუ 13 იანვარს ჩვენს რედაქციაში შემოვიდა  
ახალგაზდა სემინარიელი და რამდენიმე ლექსი შემოიტან  
დასაბეჭდათ. ჩვენ ვსახოვთ შემოსულიყო ხუთი დღის შემ-  
დეგ პასუხისმოგვის. გავიდა რამდენიმე დღე და 18 ოქტო-  
ბერს შეგვტყობინეს, რომ ამ ახალგაზდა, ჯანდონით სავსე  
ყმაწვილს თავი მოვწამლა. ის გარდაიცვალა. ვბეჭდავათ მას  
ერთ ლექს, რომლიდანაც მკითხველი დაინახავს, რომ ის არ  
ყოფილა შეგარდო თიქს მოკლებული და შესაძლო იყო  
მომავალში შესაფერი ნაყოფი გამოედო. ამ ღექსში აშკა-  
რათ გამოსჭივის მისი პესიმისტური სულის კვეთება. ის  
ექებს მეგობარს, სატრფოს გულისას და ვერ უბონება ამ ქვე-  
ყნათ... მისი თავის მკვლელობის მაზებათ კიდევ ეს უწდი  
ჩაითვალოს... ბული გიკვდება, როდესაც ჩედავ როგორ ღუ-  
პება ნორჩი, ჯერ გარდა გარდა ჩედავ როგორ ღუ-  
პება ნაზათ, ათუთათ გაზრდილი ფიქრები... მომავლის იმედები

საუკუნით იყოს შენი ხენგაბა საბრალო დამატო, თუ  
ბედმა მოვიძულა და ვერ მოასწარ სხვებისათვისაც გაგეცი  
თავი. შენი ამხანაგები მიანც საკმარო გიცნობენ და ისინი  
მაინც არ დაივაწყებენ შენს სახელს.

### ირეთელი.

## დაჭინა ეგრევილი.

(დემონის ხსფეხას)

**Дохнуга буря,** цвѣтъ крекрасный  
**Увялъ** на утренней зарѣ...

**А. Пушкинъ.**

გ•ბაფხულის პირს გ•დამხმარ ველზე  
ამოსულიყო ტურფა ყვავილი,  
დილის გარიგრადს შესტროფიალებდა  
სუსხიან ლამის ნაშით ბანილი.



გრილი ნიავი მუქ ფოთლებიანს  
ნაზის მოძერვით ოდნავ არჩევდა  
და მის მომხიბვლელს ტკბილ სურნელებას  
არე მიღამოს უხვეთ აქმევდა.

ნაზ, მოქათქათ მტრედის ფერი ცა.  
უკვდავებისას აფრქვევდა ცვარსა,  
მგოსანიც შისა საქებ-საღიდლათ  
უცხო ჰანგებზე აქლერდა ქნარსა.

\* \* \*

ცა მოპირქუშდა, იჭექ-იქუხა  
მოვიდა სეტყვა, მორეგვა არე  
და გადმტყდარი წელში ყვავილი  
ჩატკია დაიზრო ნაზათ მუშვინვარე,

შეკრთუნდა ამ აშშით მთისა ნაკაღი,  
შეძრწუნდა სიო წარმტაც მთა-გორის;  
ორთოლებით დახარა თავი ენძელამ  
ველარ განუძლო ტანჯვასა სწორის.

შეწუხებულსა ყვავილის მგოსანს  
სიმნი დაუწყდა დაემსხვრა ჩანგი  
და აქვითინებ-აჩქურებულმა  
მწუხარებისა გამოსცა ჰანგი.

#### დ. ოურდოსპირელი.

### ო ბ ო ბ ა

(დასასრული)

#### ორშაბათი 14 ვართი.

სულ თავი დავანებე წიგნების კითხვას, მთელი  
დღე სარკმელთან ვზიგარ და აღარ ვშორდები.

ის სარკმელთან აღარა დგას—მაგრამ საკმარი-  
სია თვალები დაგნუჭო, რომ მაშინვე წარმომიდევ-  
ბა მისი. სახე, ცოცხლათ თვალწინ მიდგას.

#### სამშაბათი 15 ვართი.

ჩვენ ერთგვარი თამაშობა მოვიგონეთ. მე სხვა  
და სხვა გვარ მოძრაობას ვაკეთებ, კლარიმონდა  
მე მბაძავს, ორივე ვილიმებით.

საკვირველია, როგორ ჩქარა ითვისებს ყველა-  
ფერს კლარიმონდა. ერთი ჩემი ხელის განძრევა  
საკმარისია, რომა მან უკვე იცის ყველაფერი ასე  
გადის დღეები.

#### ოთხშაბათი 15 ვართი.

საკვირველია როგორი ბავშვური დამოკიდე-  
ბულება მაქვს კლარიმონდასთან. ამ უკანასკნელ  
დღემდე მე აზრათაც არ მოშვლია, რომ ახლოს  
ვნახო კლარიმონდა. ეს კი სულ უბრალო საქმეა.  
გადვიცვამ პალტოს, დავიხურავ ქუდს, გავალ ქუჩა-  
ში და იქვე კლარიმონდას სახლის კარები. მორჩი  
და გათავდა.

კარები იღება. ოთახში ბნელა, მე მას ვერ  
ვხედავ, ხან და ხან წარმომიდგენ ხოლმე, რომ  
არავითარი კლარიმონდა არ არსებობს, არის მხო-  
ლოდ მოჩვენება. მე ის ვერ წარმომიდგენია შლია-  
პით და უხელოთათმანი. მე რომ ის სადმე ქუჩაში  
მენახა გავიცნებდი, ეს დაუჯერებლათ მეჩვენებოდა.

ხშირათ შევეკითხები ხოლმე თავის თავს მი-  
უყარს თუ არა ის მე, არ შემიძლია გადაჭრილი პა-  
სუხის თქმა, ჯერ ერთხელაც არავინ მყვარებია,  
ჩემს თავში მხოლოდ კლარიმონდა ზის, სხვაზე ფი-  
ქრი აღარ შემიძლია, მე ვგრძნობ, რომ რაღაც  
გრძნებული ძალა მიზიდავს კლარიმონდასთან. რა-  
ღაც სევდა ნალველი გულს მიმდიმებს. წარმოდგე-  
ნილი მაქვს თითქოს კლარიმონდა ჯადოსნურ წრე-  
ში ზის, მე შეისწროფი მისკენ, ვუვლი ამ წრეს,  
მინდა ახლოს მივიდე, მაგრამ ამათ.

#### ხუთშაბათი 17 ვართი.

საშინლათ აღელვებული ვარ. არავის ხმას არ  
ვსცემ... არაფერს არ ვსჭამ. მე მინდა დაუსრულებ-  
ლივა კლარიმონდას ვეთამაშო, ეს თამაშობა ელექ-  
ტრონიფით მივლის მთელ სხეულში ვგრძნობ, რომ  
ხვალ რაღაც უნდა მოხდეს.

#### პარასკევი 18 ვართი.

დიახ... დიახ.. დღეს რაღაც უნდა მოხდეს. მე  
ამას ხმამაღლა ვლაპარაკობა. საშინელებაა მოწყე-  
ნილობა... თავს ძლივს ვიმაგრებ... მეშინია... ნი-  
ნდა ვიყვირო...

#### საღამოს 6 საათი

სალამოს ხუთ საათზე სრულიად ძალა დავკარ-  
გე, ეხლა დამეკრთხებით ვიყი, რომ ამ უკანასკნე-  
კვირის უკანასკნელ საათის რაღაც საიდუმლო ძალა  
აქვს....

თავს ძლივს ვიმაგრებ... საშინლათ მინდა სარ-  
კმელთან მივიდე და კლარიმონდას ვეთამაშო.

მევხედავ ჩემ წინა მოადგილების ჩამოკიდულ  
გვამებს...

ოქ, როგორ მიღრლნის გულს სევდა..

თავი მიხურს... დაბეჯიდებით მჯერა, რომ რაღაც უნდა მოხდეს. სარკმელთან მისვლა მინდა... უნდა მივიღე.

ტელეფონი დარეკეს. ყურს ვუგდებ. ვერაფერი გვიგვ ისე ვეძახი „შედით, ჩქარა შედით“.

დავმშვიდდი. რა უნდა ვუთხრა კომისარს?

სარკმელთან მივედი უა კლარიმონდას შევხედე.

ხუთი წუთი. შემდეგ მოვიდა კომისარი. მე მას დავუწყე რწმუნება, რომ ყველაფერი გავიგვ და ყველა—კითხვებზე პასუხს მივცემდი. მან შექატუ რომ აღელვებული გიყარ. მე ბოლიში მავისდე რომ შევაწუხე მან მიპასუხა, რომ ეს მისი სივალეობაა და როცა საჭირო იქნებოდა მუდამ შემიძლია დავუძახო. შემდეგ დამპატრუა მასთან გა-ჟერარებია საღამო, რომ უატათი გავრთობილიყავი, არ მიღწლოდა, მაგრამ დავსთანხმდი.

### შაბათი 19 შარტი

შოელი საღამო მასთან გავატარე. კომისარი სართალი ფამოდგა: ჩემზე კარგათ არ იმოქმედა ამ გართობამ.

როცა დღეს დღილით სარკმელთან მივედი მომეჩვენა თითქოს კლარიმონდას უკრავდი უკმაყოფილება გა-მოხატა სახეზე, მაგრამ ეს ჩემი წარმოდგენის ნაყოფი უნდა იყოს. აბა საღამო ეცოდუნება მის სად ვიყავი რა გავაკეთი გუშინ. ეს დღისანს არ გავრძებულა, ის უკვე იღიმება, მოელი დღე ვთამაშობდით

### კვირა 20 შარტი

შემიძლია დღეს დღიურში ასე ჩავსწერო: ხელი დღე ვთამაშობდით.

### სამშავათი 21 შარტი.

დღესაც მოელი დღე ვთამაშობდათ.

ზოგჯერ ვეკითხები თავის თავს რასრუკის ვიქ- უვი ა! ე? სანამდე მიმიყვანს მე ეს? რა მინდა?

პისუხი ვერ მიპოვნია.. ეჭვს გარეშეა არაფერი რა მინდა....

ჩენ ბევრი ვილაპარაკეთ იმ უკანასკვნელ დღებშია; რასაკვირველია მხოლოდ ტუჩების მოძრა- ისთ. ეს ჩენ ხელს არ გვაშლის მშვენივრათ გვე- მის ერთი მეორის. კერარიმონდამ მისაყველურა, რომ უკანასკნელ პარასკევს ძალიან შევშინდი ბა- ღიში მოვიხადე და აღუთქვი, რომ შემრეგში გა- ხელობი ვიქნებოდი. დიდხანს ვკოცნიდით ერთი ხეორებს, ფანჯარას მინებზე ტუჩებ მიღებული.

### ოთხშაბათი 23 შარტი.

ვიცი, რომ ის მიყვარს, ისე მიყვარს, ისე რომ სხვა აღარცევერი მახსოვს, მთელი. ჩემი არსება. მის სიყვარულს წეუბოჭავს. მას ვხედავ ყველან და ყოველთვის. შეიძლება ასეთი გრძნობა ულამაზო იყოს, მაგრამ რომ მიყვარს? განა მე, ბედნიერი არა ვარ? დაახ ბელნიერი ვარ. მიყვარს კლარიმონ- და და ეს ჩემთვის ბელნიერებაა.

### ხუთშაბათი 24 შარტი

ამერიკა აღმოვაჩინე—მე კი არ ვეთამაშები კლარიმონდას ის მე მეთამაშება

ეს აღმოჩენა ასე მოხდა გუშინ საღამოს მე ვფიქრობდი ჩვენი თამაშობის შესახებ. მე მოვიგონ ახალი თამაშობა და აღნიშნე ქაღალდზე, რომ შემდეგ კლარიმონდასთან მეთამაშნა. ღლეს მივედი სარკმელთან თავი დავუკარ. დავიწყეთ თამაში მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ისე ვთამაშობდი, რო- გორც ქაღალდზე მქონდა აღნიშნული. უცაბა კარგი დამიკაცუნეს, მოსამსახურებ წილები შემოიტანა. გამოვართვი და საჩქაროთ მივედი სარ- კმელთან. გავშტრედი. მს სარკმელში დავინახე ქაღალდი, რომელზედაც აღნიშუნული იყო სულ სხვა თამაშობა და მეც იმას ვასრულებდი და არა იმას რაც მე დავსწერე. ღლნე მიხდილი დავეშვი სავარძელში. ვერ წარმომედვინა, როგორ მოხდა ეს, უცაბა მე მომეჩვენა თითქოს მისი კარები გა- ილეს. ვდგევარ კარებთან და ვიყურები, მაგრამ ვერაფერს ვერ გხედავ მიკედი სარმკელთან, შევხე- დე კლარიმონდას და ისევ დავიწყეთ თამაში. მე ვიგრძენი, რომ მოელი ჩემი არსებით კლარიმონ- დას მონა ვარ.

ხელები ჯიბებში ჩავიწყე და გადავსწყვიტე არ ამოვილო. მან ასწია სალოკი თითი და დამტუქ- რა. მე არ გავნიჩეულვარ, ვიგრძენი, რომ მარჯვე- ნა ხელი შეინძრა და ლამობდა ჯიბიდან ამოსვლის, მაგრამ მე მაგრათ მოვკუმე ხელი. რამდენიმე წუთის შემდეგ ხელი ჯიბიდამ ამოქრა. მეც დავემუქრე სალოკი თითით და გავულიმე. მე ასე ვიგრძენი თითქო, მე კი არა სხვა ვიღიაც შვრებოდა ყველა იმას....

არა... არა ეს ასე არ არის... მე, მე ვშვრები ყველა ამას... მე, მე, რომელსაც მინდა, გავიგო საი- დუმლოება. მაშ რა დარღი მაქს საიღუმლოების? მე აქ იმიტომ ვარ, რომ კლარიმონდას სურვილი ავსრულო მე ის მიყვარს... მიყვარს თავდაციწყე- ბამდის.

### 25 მარტი

გადავსჭერ ტელეფონის მაკულუები, არ მინდა, რომ ვიღაც სულელმა კომისარმა ყოველ წუთს შემაწუხოს მაგრამ, ოხ ღმერთო ჩემთ, რატომ ვსწერ ყველა ამას. აქ ხომ ერთი სიტყვაც არ არის ვართალი... მე ხომ ჩემის ნებით არ ვსწერ ამას., ვიღაც მაწერინებს.

გადავსჭერ ტელეფონის მაკულუები....:  
ჩემთვის ეს საჭიროა.

დღეს დილოთ ვითამაშეთ, მე ყველაფერში ვგაძავ კლარიმონდას- თავს ვიქერ, მაგრამ მაინც ვგაძავ. ეს მე სიამონებას მგვრის ვათამაშეთ... უკანათ ის აღგა და მოშორდა სარკმელს. ბნელოდა და ვეღარ ვხედავდი. ის ჩეარა დაბრუნდა და მოიტანა ისეთი ტელეფონი, როგორიც მე მქონდა, დადგა სარკმელთან, აიღო დანა და გადასჭრა მაკულუები. ტელეფონი უკან წაიღო....,

ხუთმეტი წუთი ვებრძოდი თავის თავს. ბოლოს ავდექი, მოვიტანე ტელეფონი, გადავსჭერ მაკულუები და ისევ თავის აფეილზე დავდგი. ის როგორ მოხდა ეს, ჩაი დავლიყ. საათს დავხედე—ხუთი საათი და 15 წუთია.

გავიხედე სარკმელისკენ და დავინახე კლარიმონდა. ის იღიმებოდა. ის მივიღა ფარდასთან, ხელი მოკიდა ზონარს გამოამარყუჟა და სარკმლის კოჭაქზე ჩამოაბა.

დაჯდა და იცინის, ვუკურებ და რაღაც სევდა გულს მიღრღნის. მინდა ყველაფერი შევასრულო რასაც მიბრძანებს. ვერძნობ, რომ სევდა თან და თან იზრდება... თვითეულ წუთს მატულობს და მატულობს . . . . .

ისევ აქ ვზიგარ. მე ფიცხლავ ივასრულდ მისი, ბრძანება. გამოვამარყუჟე ზონარი და ჩამოვაბი კოჭაქზე,

ეხლა იღარ მინდა გავიხედო სარკმელში, რომ საქმე ბოლომდი რა მივიყვანო... საკმარისია შევხედო, რომ..

არ მინდა, არ, არა, უნდა შევხედო.... მერე... მერე, ის მიხვდება რაც უნდა მოხდეს.

საშინლათ ვიტანჯები,.. ვსწერ, ჩეარა... ჩეარა რომ დიდხანს ვიჯდე აქ.... რომ დიდხანს გაგრძელდეს ეს წამები.

ისევ სევდები. შევხედავ. შევხედავ, მაგრამ

თავს არ ჩამოვიხრჩობ. ამის მე არ მეშინირავთა იქნება შემდეგ არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ რომ რაღაც უნდა მოხდეს, უნდა ვსწერო რამე... სულ ერთია რაც იქნება.

„ჩემი სახელი—რიჩარდ ბრაკეტმონი—რიჩარდ ბრაკეტმონი—რიჩარდ—იღარ შემიძლია განვაგრძო—რიჩარდ ბრაკეტმონი—რიჩარდ მრაკეტმონი—რიჩარდ ბრაკეტმონი—ეხლა, ეხლა—ერთი კიდევ უნდა შევხედო—რიჩარდ ბრაკეტმონი—უნდა—არა რიჩარდ—რიჩარდ... რიჩარდ ბრ . . . .

რაკი ტელეფონით ვერაფერი პასუხი ვერ მიიღო, მევათ ნაწილის კომმისარი გაეშერა სასტუმუსკენ, იქ მას შეატყობინეს, რომ სტუდენტმა თავი ჩამოიხრჩო. ის იპოვნეს სარკმელთან ზონაზე ჩამომხრჩალი ხელში დამხრჩალი. ობობა ეჭირა ლაქიამ მოიგონა, რომ კომმისარებრს პირში ქონდა ობობა, არტისტს ცხვირიდან გამოუძრა და სერეანტი ზურგზე.

მაგიდაზე იყო დღიური. კომმისარმა წაიკითხა ის და ფიცხლავ წავიდა იმ სახლში. იქ გამოირკვა, რომ მეორე სართულში თრი თვე არავინ სცხოვა რობდა.

**ირეფელი.**

რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე,

## განცხადებანი

თოველ-კიბელები საპოლიტიკო და სალიტერა.

ტურა გაზოთი

**“ვ მ ბ ი”**

გამოდის იმავე პროგრამით, როგორც 1909 წელს გამოდიოდა.

**გაზოთის ფასი: ფლიურათ**

ქალაქში დატარებით 3 გ.—; ვინც რედაქციაში მოიკითხავს გაზ. დაეთმობა 2 გ. 50 კ.

ქალაქ გარეთ . . . 3 გ.— კ.

ნახევარი წლით, . . . 2 გ.— კ.

სამი თვით. . . . 1 გ.— კ.

**რედაქციის მდგრადი: კუთასი, ბალახვანსкая უл. დომъ № 37- Редакція „ПОНИ“.**

# \* \* ს ხ ი ვ ი \* \*

ქურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, როგორც ლიტერატური ისე ნათარგმნი, კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფიები, ბიოგრაფიები და სხვა.

მონაწილეობას მიიღებუნ:

ნ. აზანი, ახალი არამოდი, ბ. ბეჭა, ბ. გოგოლაძე, ივ. გომართელი, ნ. ზომელეთელი, მ. ასამიანი, მ. არქოველი, ა. დალიანი, ლევ, რ. ლებეჯმელი, გ. მალქიაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაჭელიძე, ტ. რაშა შვალი, გ. რესაძე, ივ. რუსევილი, ვ. ტუქისიშვილი, შვარცა და სხვანი.

უკურნალი ლირს:

ერთი წლით —	— 5 მნ.
სახელი წლით —	— 2 მ. 50 კ.
ერთი თვეთ —	— 50 გრ.
თათვი ნოშერი —	— 10 გრ.

## წლიურ ხელის მომწერლობის მომწერლობა

პირველ პრემიათ მიიღებათ სტანდარტის მოთხრობა  
„სახლი ვოლგის ნაკირზე“.

მეორე პრემიათ — ისეთადაც იოხ-მოქმედებიანი ახალი  
ჟიგა „სიცილი“.

პირველი წიგნი დაურიბდებათ თებერვლის დამლევს. მეორე აგვისტოს პირველ რიცხვებში. აგრეთვე დეკემბრის ნომრები უფასოთ გაეგებავნება. ვინც თებერვლის დამლევამდე მთელი წლის ფულს შემოიტანს ორივე წიგნს მიიღებს.  
უკურნალის გამოწერა შეიძლება თვეილისში: გაზ. „მომავლის“, ს. რედაქციაში: პ. კალანდაძესთან; წიგნის მაღაზია „ალიონში“ ვ. გალილიასთან, კროჩნი ქუჩა № 9; „პერატნოე დელო“-ში, ველიამინოვის ქუჩა № 6 ბ. კილაძესთან.

## თ ა ლ ა მ გ ა რ ე ბ ი თ

ქუთაისში: წიგნის მაღ. „იმერეთში;“ ის. კვიცარიძესთან; სამტრედიაში რკ. გზის შპ. ყ. კოპალეიშვილთან; ბათუმში — რკ. გზის შეკვეთში გ. მახარაძესთან; ჭიათურაში — მასწ. ვ. ხურიძესთან; ჩოხატაურში — წიგ. მაღ. ს. თავართელაძესთან; ოზურგეთში — წიგ. მაღ. მ. თალაკვაძესთან; ს. აჯიკაბულ-ში — ვ. ყიფაინთან. და რკინის გზის ყველა სადგურე ბზე, სადაც წიგნის შეკვეთია.

წერილები და ფული დროებით ამ ადრესით უნდა გამიგიზავნოს: **თიფლისი, ტიპოგრაფია „პერატნოე დელო“ ველიამინოვსკა ულ. № 6. პოლიევი ანტონი კალანდაზე.**

სტამბა „ბეჭდვითი საქმე“, (ბ. კილაძისა.), ველიამინოვის ქ. № 6.

უკურნალი დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

## წ რ მ ე ბ ი

გამოდის უკურნალი დღე, — კვირაობით სურათებიანი დამატებით. გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით 8 გ. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 80 კ. ერთი თვით და 50 კ. ფულის გამოსაგზავნი აღრესი: თიფლის რედაქცია „დროება“ ი. ს. აგლაძე.

გამოცემის 1910 წ. საზოგადო სურათი. გამოცემის 1910 წ. საზოგადო სურათი.

## „ნაციალული“

წელიწადი მექქეს,

ხელის მოწერა მიიღება თფილისში: „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტი, 8) და წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში (თავად-აზნაურობის ქარვასლა).

1910 წლის 1-ლ იანვრიდან 1911 წლის 1-ლ ნახევრადის მიეცემა ხელის მოწერლებს: 24 წიგნი მცირეწლოვანთათვის, 12 წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიათ საბაზშო უნივერსიტეტი (სამეცნიერო პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისთვის):

1) დედამიწა და კულიანი ვარსკვლავი — ზღაპარი ევალდისა, 2) ბარჯნები — ზღაპარი ევალდისა, 3) თორმეტი და — ზღაპარი ევალდისა, 4) ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი უკურნალისა:

წლიურას — ხუთი მანეთი.

ნახევარი წლით თრივე გამოცემა — სამი მანეთი.

საზღვარ-გარეთ..

წლიურას — შვიდი მანეთი, ნახევარი წლით — ოთხი, მანეთი.

მცირე-წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მანეთი.

მოზრდილთათვის 12 წიგნი — 3 მანეთი.

რედაქტორი: მარიამ ივანეს ასული დემურიასი.

გამომცემელი: თ. შევდე იასების ქ. თუმანიშვილი.